საქართველოს
ფინანსთა მინისტრი
Minister of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

92864-08-03-2-202008121510

N 08-03/92864
12/08/2020

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ ლევან კობერიძეს

ბატონო ლევან,

თქვენი 2020 წლის 28 ივლისის №6748/3-48/20 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ 46 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად, 2019 და მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში, ყალბი აქტივების შექმნისა და გამოყენების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე, 185-ე, 194-ე მუხლებით, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა სულ 188 პირი. დღეის მდგომარეობით სასამართლოში წარმართულია 40 სისხლის სამართლის საქმე.

რაც შეეხება წერილში დასმულ საკითხს, ხელოვნურად შექმნილი აქტივის ფარგლებში ამჟამად რა თანხაზე მიმდინარეობს გამოძიება, გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ 6 სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს 19 პირის მიმართ, ხოლო ყალბად შექმნილი აქტივის ოდენობა ჯამურად შეადგენს დაახლოებით 21 მილიონ ლარს.

გამოძიების პროცესში დანაშაულებრივ სქემებში ჩართულ ყველა კომპანიაში ჩატარებულ იქნა საგადასახადო შემოწმება, რომლის შედეგადაც კომპანიებს გაუუქმდათ ყალბი აქტივები და ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხათ ჯამში ასობით მილიონი ლარი.

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261444
ელ-ფოსტა: info@mof.ge
ვებ-გვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261444
E-mail: info@mof.ge
website: www.mof.ge

ამასთან, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დაყადაღებულ იქნა დანაშაულებრივ ქმედებებში მხილებული პირების უძრავი-მოძრავი ქონება და საბანკო ანგარიშები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური აგრძელებს აქტიურ მოქმედებებს აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენისა და დამნაშავე პირების მხილების მიზნით.

პატივისცემით,

ივანე მაჭავარიანი

მინისტრი